# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 305

„16“ ივლისი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №112-ში მდებარე 44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტისსაკრებულომდაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილის ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №112-ში მდებარე 44 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.015) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ 2022 წლის 6 ივლისის №22.1037.1138 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ფალიაშვილის ქუჩა №112-ში მდებარე უძრავი ქონებიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.023.015) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 44 კვ.მ. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზაალ გაბაშვილისთვის (პ/ნ. 01008031358) გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე